# ახალი საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, დამფუძნებელი კრების ქ. № 5 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი „ახალი საქართველო“ ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 20 მ. მე-4 გვერდზე—15 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—700 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი „ახალი საქართველო“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—600 მან. ცალკე №—25 მან.

ფასი 25 მან.

წელიწადი პირველი | 498-05 № 3050 | შაბათი, ქრისტეშობისთვის 1/. 1920 | № 32 F 796 № 7203 | № 1



მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

## კონიაკი

გაწმენდილი ჭურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა
ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (მაგზლის) ქ. № 5.



# ცენტრობანკი

საქართველოს ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკი, თავისუფლების მოედანი № 3.

თანახმად აქციონერთა საზოგადო კრების 28 ნოემბრის დადგენილების და ხატ. ფინანსთა მინისტრის ნებართვისა

## გამოცხადებულია ხელის მოწერა ცენტრობანკის მეორე გამოცემის აქციების რიცხვით კიდევ

## 30,000 აქცია

### შემდეგი პირობებით:

1. თითო აქციაზედ შემოტანილ უნდა იქნას წარმდგენილი ღირებულება—1000 მ. და საორგანიზაციო ხარჯებისა და სარეზერვო თანხისათვის კიდევ 200 მან., სულ—1,200 მან.
2. ძველი აქციის პატრონს ნება ეძლევა თითო ძველ აქციაზედ მიიღოს თითო ახალი აქცია. ამ უფლების გადაცემა ან გაყიდვა აკრძალულია.
3. ფულები უკლებლივ და ერთიანად უნდა შემოტანილ იქნას პირდაპირ ცენტრობანკში, ან მის განყოფილებებში ბათუმში, კონსტანტინეპოლში და ბორჯომში 5 ამა დეკემბრის დღის ორ საათამდის.
4. ვინც ამ ვადას გაუშვებს ის ჰკარგავს უფლებას ახალი აქციების შეძენის უპირატესობისა.
5. 16 დეკემბრიდან დარჩენილი აქციები გამგეობის მიერ გაიყიდება გარეშე პირებზედ.
6. მეორე გამოცემის აქციებს ამა 1920 წლის დივიდენდში წილი არ უდევს.

ცენტრობანკის გამგეობა.



## იმერეთის სავაჭრო-სამრეწველო სამეურნეო ბანკის

(ქ. ზესტაფონში) (იმერბანკის) (ქ. ზესტაფონში.)

საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ამა წლის 9 დეკემბერს ხსენებულ ბანკის წესდება დაამტკიცა. ძირითადი თანხა ბანკის პირველ ხანად არის განსაზღვრული 3 (სამი) მილიონი მანეთით, თითო აქცია ღირს 1000 (ათასი) მან., ხუთი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას.

ხელის მოწერა მიიღება ამა დეკემბრის 15-მდის ქ. ზესტაფონში საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში და ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი თითო აქციაზე ღირებულების ნახევარი 500 მანეთი და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 50 მან აქციაზე.

საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ აქციონერთა პირველი დამფუძნებელი

## კრება

დანიშნულია ამა წლის 19 დეკემბერს ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბინაზე დღის 12 საათზე

განსახილველი საკითხები:

1. საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება.
2. 1921 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება
3. ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან აქტივისა და პასსივის მიღება.
4. არჩევნები საბჭოსა, გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა და
5. მიმდინარე საკითხები.


საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეია ამით აცხადებს, რომ კვირას 12 დეკემბერს ნაშუადღევის პირველ საათზედ გალერეის შენობაში რუსთაველის პროს. 13 გაიხსნება

## ძველი მხატვრობის სურათების

## გამოფენა

გამოფენილ იქნება სურათები ძველი ქართული, სპარსული და ევროპიული მხატვრობისა დაწყებული მე-16 ტე საუკუნიდგან ვიდრე მე-19 ტე საუკუნემდე. მხატვრულ და კულტურულ საზოგადოების და პრესის წარმომადგენლების თვის გამოფენაზედ შესვლა უფასოა. მოწვევის ბარათები არავის გაეგზავნება.

გალერეის დირექტორი შევარდნაძე.

133—133

## განცხადება

### შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდის

იმ მუშის და მოსამსახურის დამქირავებლები, რომლებიც ღებულობენ მუშათა მაგიდიდან სურსათ სანოვაგეს, ვალდებულნი არიან 15 ამა დეკემბრამდე შეიტანონ დეფიციტის დასაფარავად 5000 მან. თვითეულ მუშა მოსამსახურეზე.

თავის დროზე ფულის შეუტანლობა გამოიწვევს მაგიდიდან სურსათ-სანოვაგის მიღების შეწყვეტას.

ფული მიიღება მუშათა მაგიდის სალაროში (კირკის ქ., ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობაში) ყოველ დღე დილის 9 საათ. შუადღის 3 საათამდე.

შრომის სამინისტროს საქმეთა მმართველი ი. გოლდმანი.
მუშათა მაგიდის გამგე ვ. ჟღენტი.

## სამთო სატეხნიკო კურსები.

სამთო მადნო სამმართველოსთან არსდება ერთ წლიანი სამთო-სატეხნიკო კურსები. მეცადინეობა საღამოთია. მიიღებიან არა ნაკლებ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი **სწავლა დაიწყობა 20 დეკემბერს.** თხოვნების მიღება და ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 4—3 საათამდე სამმართველოში პეტრე დიდი[illegible] № 10, ტელეფონი 2—44.

სამთომადნო სამმართველოს უფროსი ი[illegible]

დედა ბარბალე ალექსანდრეს ასული, ბიძები: ალექსანდრე და იასონ გიორგის ძენი, ძალუა ნინო გიორგის ასული, ბიძაშვილები: ელენე, ბარბალე და თინათინა ფავლენიშვილები და დეიდა ნინო ალექსანდრეს ასული ჯაიანისა თავის შვილით რაჟდენითურთ აუწყებენ თავიანთ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ დეკემბრის 6 ს გარდაიცვალა

ანასტასია გრიგოლის ასული

ფავლენიშვილი

დაკრძალვა მოხდება სოფელ ერტვში (გორის მაზრა) დეკემბრის 11 ს.

1—3338—1

პელაგია ანტონის ასული და თეკლე დავითის ასული დაფქვიაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 12 ქრისტეშობისთვეს იქნება გადახდილი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი დედის და დედამთილის

ნინო იაკობის ასულის

დაფქვიაშვილის

სულის მოსახსენებლად.

ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათ. პანაშვიდი 12 საათზე.

1—3336—1

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

შაბათს, დეკემბრის 11-ს მეორეჯერ

ბერდო-ზმანია

ალ. შანშიაშვილისა

დეკორაციები და ტანისამოსი ვალ. სიდამონ-ერისთავისა

მუსიკა დ. არაყიშვილის, ბალეტი და ხორო. რეჟისორი ალ. ახმეტელი.

კვირას, დეკემბრის 12-ს

მვარდიის საღამო

დეკემბრის წარმოდგენისათვის (,,ბერდო-ზმანია) აღებული ბილეთები გამოდგება 9 დეკემბრის წარმოდგენისათვის.

სახელმწ. თეატრი

ოპერა

შაბათს 11 დეკემბერს

მუშებისთვის

... სპექტაკლი მოწყობ...

,,პოკელი''

კვირას, 12 დეკემბერს ქართულ ენაზე

ღალატი

ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

მეორე ქართული კლუბი

დღეს შაბათს

სინემატოგრაფი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

1—139—1

განცხადება

მონდობილობისამებრ და თანახმად წესებისა, რომელიც მოყვანილია 59 და 60 მუხ. 11 ტ. 2 ნაწ. სავაჭრო დებულებისა, საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ საამხანაგო ხელშეკრულების ძალით, რომელიც დამოწმებულია ჩემ მიერ ამა წლის ნოემბრის 26-ს რეესტრის № 400, დაარსდა ქ. ზესტაფონში

სავაჭრო ნდობის ამხანაგობა

„ენდე''

რომლის პასუხისმგებელ—გამგე ამხანაგებად არიან: სამსონ პეტრესძე მამალაძე, ალექსანდრე ლეონტისძე შალამბერიძე, ლასო ანდრიასძე ნიორაძე, პლატონ ელიაზარისძე საყვარელიძე, სერგო ალექსისძე კვანტრიშვილი, ივანე იორდანესძე ცერცვაძე და ერმინე ივანესძე თაბაგარი და სხვები კი ფულის შემტანნი. ამხანაგობის საქმეებს განაგებენ პასუხისმგებელი—გამგე ამხანაგები, რომელთაც აქვსთ უფლება მოაწერონ ხელი ყოველ გვარ აქტებზე და თამასუქებზე.

ზესტაფონის ნოტარიუსი მიხ. გვალია.

გაზ. ,,ახ. საქართველო''-ს

აგენტების საყურადღებოდ

თელავი, გორი, ფოთი, ბათომი, სამტრედია.

გაზ. ,,საქართველო''-ს კონტორა კატეგორიულად აცხადებს, რომ ყველა იმ აგენტებმა, რომელთაც არ წარმოუდგენიათ მიღებულ გაზეთების ანგარიში, რომელთაც არ დაუბრუნებიათ დარჩენილი გაზეთები, აცნობონ ამის შესახებ დაწვრილებით კონტორას და გაასწორონ ანგარიშები:

... ღმდეგ შემთხვევაში გაზეთები აღარ გაეგზავნება.

...ცდილი რეპეტიტორი სტუდენტი

...ებს გაკვეთილებს

...ყურადღებოდ დილის საათები

...კრ. ბიურო (სასახლ. ქ. № 5)

...ალაპარაკეთ 10-2 საათამდე.

# საქართველოს სახელმწიფო ბანკის

# ბალანსი

1920 წლის, 1 დეკემბერს.

| აქტივი (ათასობით). | | პასივი (ათასობით). | |
|---|---|---|---|
| კასა და სახელდახ. ანგარიშ. | 558.817 | | |
| უცხოეთის ვალიუტა. | 2.416 | ძირითადი თანხა | 150.000 |
| განაღდება თამასუქ. სავაჭრო ვალდებულ. და ვადიან ქაღალდ. | 115.171 | სპეციალი თანხა | 50:000 |
| სპეც. სახელდ. ანგარ. უზრუნველყოფ. თამასუქ. და სავაჭრო ვალდებულ. | 6.165 | ანგარიში კრედიტივებისა და კორესპონდენტებთან | 692.669 |
| სესხი და სპეც. სახელდ. ანგარ. საქონლ. და საქონლ. მიერის საბუთ. | 169.101 | ანგარიში გამგეობასთან | 35.233 |
| ანგარიში ხაზინებთან. | 56.969 | | |
| ,, განყოფილებასთან. | 54.889 | გადუხდელი გადმოგზ. ფული და გარდამავ. თანხ. | 32.035 |
| ,, მოწყობა მომართვისა | 431 | | |
| დასაბრუნებელი თანხები | 2.294 | სარგებელი მიღებული ოპერაციებისაგან | 12.632 |
| მიმდინარე ხარჯები | 6.326 | | |
| ბალანსი | 972.569 | ბალანსი | 972.569 |

ბანკის მმართველი იასონ ლორთქიფანიძე.

1—143—1.

# დღეს

ვრანგელის ჯარი მოკავშირე სახელმწიფოებმა ჩაიბარეს.

ინდოეთში ინგლისის მთავრობამ საალყო წესები გამოაცხადა.

ამერიკის მომავალ კონგრესზე რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის საკითხს განიხილავენ.

წერილები

მეთაური: ბელლები.

გელათის მონასტრის ამბების გამო.

## ბელლები.

„ერთობა“ ძალიან დიდ იმედებს ამყარებს გურიის სამაზრო ერობას დადგენილებაზე, რომელიც ეხება სათემო ბელლების დაარსებას სიმინდისა თუ ხორბლის შესაკრებად, შესანახად და საჭიროების ამებრ გასანაწილებლად.

როგორც ზომა შიმშილთან საბრძოლველად, ჩვენ სიამოვნებით დავთანხმდებოდით აგეთ ნაბიჯებზედ და მოვიწონებდით მას.

მაგრამ ჩვენი მოვალეობაა სათვალავში მივიღოთ, გარდა კეთილი განზრახვებისა, რასაც პრაქტიკულად სულ ცოტა მნიშვნელობა აქვს, სინამდვილის პირობები და ცხოვრების შესაძლებლობანიც.

დავუპირისპიროთ გურიის ერობის განზრახვა მომარაგების სამინისტროს გადაწყვეტილებას. უკანასკნელი აშკარა ბოლშევიკურია და ეხება გლეხებიდან იძულებით სანოვაგის შეძენას.

რადგან დაწვრილებით ჩვენ არ ვიცით რა ხასიათისაა გურიის ერობის გადაწყვეტილება და არც „ერთობა„ იწუხებს თავს დეტალიზაციისათვის; რადგან ჩვენ მხოლოდ ვიცით, რომ ბელლების დაარსებასაც მიზნად ბრძოლა აქვს სიძვირესთან, ჩვენ შეგვიძლია ყოველ შემთხვევაში დავასკვნათ, რომ სანოვაგის (სიმინდ-ხორბლეულობის) შეკრეფა ბელლებში იძულებითი ნიადაგზე იქნება დაყენებული.

ერობა და სახელმწიფო, ორივენი ერთი მეორისაგან დამოუკიდებლივ, აწარმოებენ პურის დაგროვების პოლიტიკას სოფლებში. პირველი შაბაშა ცილებაა, რომ ერთი მთლიანი სისტემა მოქმედებისა ჩვენ არა გვაქვს: გურიაში, შეიძლება სხვაგანაც, სიმინდს აგროვებს ერობა და, რასაკვირველია, სახელმწიფოს არდარა ექნება იქ დასაგროვებელი.

ეხლა შევედოთ მხედველობაში, რომ ჩვენი თემების გამგეობის შემადგენლობის ხელთაა ეს დაგროვება, შენახვა და განაწილება. თემის გამგეობები უმეტეს შემთხვევაში ვიცით რას წარმოადგენენ.

ეკონომიურ თათბირზე, ვგონებ, მკაფიოთ იყო გამოთქმული აზრი მთავრობის წარმომადგენელთა მიერაც, რომ ერობის მოლაშქრე თავის ადგილზე არ არიან.

ჩვენ გვჯერა, რომ გურიის ერობის ურილობას კეთილი განზრახვები ასულდგმულებდა ,,ბელლების'' გადაწყვეტილების გამოტანისას; მაგრამ ჩვენ იმასშიაც დარწმუნებული ვართ, რომ ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა და ჩვენს პროვინციებში გავრცელება დიდი საგან დიდ შეუსაბამლობასა და ბოროტებას წარმოშობს. ხალხისათვის ეს ბოროტება მით უფრო იქნება აუტანელი, რომ იგი ქველმოქმედების სახელით იქნება ჩადენილი.

თვით „ერთობაც“ კი ბრძანებს, რომ „ზოგიერთებს (მაზრებს) ჰქონდათ ზედმეტი ხორბალი და სიმინდი, მაგრამ მათი მიღება და დამშეულთა შორის განაწილება მეტად ძნელი გამოდგა“. თუ ... ვერ მიახერხეს იმ ერობებმა, ... ჰქონდათ ზედ-მეტი სიმინ... ...ის გაკეთებას შესძ... ...მელთაც არც ზედ-მეტი და არც საყოფი სიმინდი ჯერ არც დაუგროვებია და არც მოეპოვება? ხსენებული დადგენილება მხოლოდ ღვერს უხსნის მათ, ვისაც არც წარსულში არაფერი გაუკეთებია და ვერც მომავალში გააკეთებს. თემთა გამგეობები ვერ გასწევენ იმ ... ... რომლის ზიდვა არც ისე ადვილია, როგორც „ერთობას“ წარმოუდგენია. ეხლა ვიკითხოთ, რას გააკეთებს თვით მომარაგების სამინისტრო? გლეხთაგან იძულებით პურის ჩამორთმევის პრაქტიკა უკვე არის ებობს: კომუნისტურ რუსეთში. იძულებითი ჩამორთმევა თხოულობს ულმობელობას და გლეხთა დაუზოგავობას, ყოველ შემთხვევაში ძალზე სასტიკ ზომებს, რომლის ცხოვრებაში გატარება ყოველგვარ დემოკრატიულ უფლებათა და პრინციპების აშკარა დარღვევა და შემოღლვაა. ჩვენ არაფერს ვიტყვით მის შესახებ, რომ ეს ზომები არსად მიზანს არ აღწევენ და შემდეგისათვის იწვევენ სასოფლო მეურნეობის წარმოების ისეთ ნაირათ, ისე მინიმუმამდე შემცირებას, რაც მხოლოდ-ღა მწარმოებლის საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლადაა საკმარისი. შედეგი ის გახლავთ, რომ გაისათ და შემდეგ წლებში, თუ ეს იძულებითი ზომები ბოლომდისინ შეინარჩუნეთ, ჩვენ არც იმის მეათედი მოსავალი გვექნება, რაც წელს გვქონდა; და მთელი ჩვენი ხალხი უცილოდ სიღატაკესა და შიმშილობაში ჩავარდება და რესპუბლიკას თვით შიგნით დაუმზადებთ საშინელ განსაცდელს. განა ვისმეს იმაზე უკეთესი მაგალითები სჭირდება, რასაც იძლევა უნაყოფიერი მინდვრები რუსეთისა, ოდესღაც მკვებავი მთელი ევროპის მცხოვრებთა მესამედი ნაწილისა და დღეს კი იმავე იძულებითი კანონ დეკრეტების წყალობით გაუდაბნოებული და უდაბნოთ ქცეული?

განა თვით მომარაგების სამინისტროს მატიანე სავსე არ არის ამ იძულებითი სისტემის ნიმუშებით? თამბაქო, პარკი, მატყლი, ხე-ტყე, თვით მარგანეცი, კარტოფილი და პურიც, ყველა ეს ამავე სისტემას არ ექვემდებარებოდა დღემდე? ახალციხე, კახეთი, ქართლი განა შეუვალი მაზრები არ იყო ყველა სხვათათვის, გარეშე მომარაგების სამინისტროსა? უკანასკნელი მოქმედებდა მთელი თავისი აპარატით, მთელი თავისი ძალღონით. მაგრამ შედეგი ძალიან დაშორდა იმედებს და სურვილებს.

მაშ რა გარანტიაა, რომ უსასტიკესი ზომები შემდეგში გამოიღებენ რაიმე ნაყოფს.

სოციალისტები გულმოდგინეთ იბრძვიან პოლიტიკურ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. დემოკრატია, მთელი ხალხიც სისხლს ღვრიდა თავისუფლებისათვის.

ჩვენ ვშიშობთ, რომ სოციალისტებმა ბოლოს არ დაამყარონ ეკონომიური ჩაგვრა, რაც ისეთივე ძნელი ასატანია ხალხისათვის, როგორც პოლიტიკური. ჩვენის აზრით, მთავრობა გაცილებით მეტ შედეგს მიაღწევდა, თუ სოფლის... ...და ... ...

დარჩებათ და მათი ცოდნა-ენერგია გამოყენებული იქნება მწარმოებელთა ორგანიზაციების ფართოთ დაკავშირებით რესპუბლიკის მომმარაგე ორგანოებთან. საზოგადოებრივი თვითმოქმედება, განსაკუთრებით ეკონომიურ სფეროში, აუცილებელი პირობაა სახელმწიფოს კეთილდღეობისა და მისი საუკეთესო მაჩვენებელია რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა პრაქტიკაც ამას ბრწყინვალედ ადასტურებს. მაშ, ისარგებლეთ სხვათა გამოცდილებით მაინც.

## გელათის მონასტრის ამბების გამო.

გელათის მონასტრიდან განძეულობის გატანამ მთავრობის განკარგულებით ძალით დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია საზოგადოებრივ წრეებში. ოფიციალური და არაოფიციალური სოციალდემოკრატია დაფაცურდა და ჩვეული დემაგოგიით შეეცადა ისე ნაირად გადაემახინჯებინა ფაქტები, რომ ხალხი დაერწმუნებინა, თითქოს ბერებმა მართლაც დაიტაცეს გელათის სიმდიდრე და მთავრობა იძულებული შეიქნა დაუყოვნებლივ ზომები მიეღო ,,ერის სამკვიდრებლის'' გადასარჩენად ბერების მტაცებლობისაგან. ამ საერთო განგაშმა ისე გაიტაცა სოციალდემოკრატები, რომ ყრუ მუნჯი ,,საქართველოს რესპუბლიკაც'' აახმაურა და ,,ხაზეინების'' სასიამოვნოდ ულაკო ქორი ,,დაადასტურებინა''. ეს ასე ვთქვათ, გაზეთი იკითხება: ,,ვის უფრო უნდა დაუჯეროთ ჩვენ, მთავრობის გამოძიებას, თუ კორესპონდენტს. თუ გინდ იმავე მამების (?) მიერ მოწოდებულ ცნობებს''. გულუბრყვილო შავშვები სხედან მთავრობის რედაქციაში! რასაკვირველია, მთავრობას უნდა დაუჯეროთ!!! ან შეგიძლიათ არ დაუჯეროთ მთავრობას?! მაშინ ხომ თქვენი ხსენებაც აღარ იქნება ,,ხაზეინის'' საბრძანებლოში...

უფრო საინტერესოა სოციალ დემოკრატების ,,იდეოლოგიური'' ორგანოს ,,ერთობის'' გალაშქრება გელათის წინააღმდეგ:

გაკოტრებული იდეოლოგიის გაზეთი განმეორებით ჰშლის ,,ქორის ბოხჩას''-ვინ მისცა ბერებს ნივთების გაყიდვის უფლებაო, გაიძახის ,,ერთობის'' მეპრესე? მას ალბად ბერები მინებებულ ,,ჯოგად'' ჰყავს წარმოდგენილი და არ ჰსმენია, რომ მათაც მოეპოვებათ ორგანიზაცია და დღესდღეობით მაინც უფლება მოსილი ხელისუფლება! მეპრესეს, ან ბ. თეკლათელს ეკლესიის ორგანიზაცია ეხლავე მოსპობილად მიაჩნია და თავს არ იწუხებენ ვაეგოთ, რომ ადგილობრივი მღვდელმთავარი მისდამი წარდგენილ თხოვნებზე რეზოლიუციებს აწერს ისე კი არა, როგორც მას მოეპრიანება, არამედ დაკანონებულ ნორმების მიხედვით! იქნებ ,,ერთობის'' მეპრესემ, თუ გინდ იმავე ბ. თეკლათელმა გვიჩვენოს, საეკლესიო კანონმდებლობის რომელი პარაგრაფი კრძალავს ქუთათელის რეზოლუციას...

გელათის ამბებით უკმაყოფილონი ,,ბერებს'' კი არ იცავენ ისე, როგორც მაგალითად, ,,ერთობა'' ყველა სოციალ-დემოკრატს, რა გინდ არ უნდა იყოს მისგან ,,ერის სამკვიდრებელი'' ანგარებად მოხმარებული. ისინი იცავენ სამართლიანობას და ებრძვიან ძალმომრეობას; იკვლევენ ფაქტებს, საქმის ვითარებას და დასკვნაში ემყარებიან მხოლოდ შემოწმებულ დოკუმენტებზე.

,,ერთობა'' საოხუნჯო პრესითაც არ კმაყოფილდება და უშველებელ მოწინავე წერილს ათავსებს საკითხის ,,პრინციპიულ'' გასარკვევათ. რასაკვირველია, აქაც პრინციპები და დემაგოგია დომხალივით არეულია ერთმანეთში! ,,ერთობის'' სახელმწიფოებრივ — იურიდიული განმარტება ისევე უიმედოა, როგორც მისივე ოხუნჯობა ,,უდიერ მამებზე''. „ერთობა'' დამობს მთავრობის აქტის გამართლებას საკითხის შეტრიალებით! მან კითხვა დასვა: ვისია ბოლოს და ბოლოს ეკლესიის განძეულობა? ვის ეკუთვნის უზენაესი(?) კონტროლი მონასტერ-ტაძრების ნივთებზე? სახელმწიფო უფლების ელემენტარულ დებულება ,,ერთობელებს'' დავუძლევიათ, მაგრამ ის კი ვიდარ დაჰხსომებიათ, რომ ,,უზენაესობის'' გარდა არის ფუნქციების დაყოფაც და უფლებამოსილობის განსაზღვრაც... სოციალდემოკრატებმა ფაქტიურად გააუქმეს ეკლესიური ინსტიტუტი საქართველოში და ამ „ფაქტს'' იურიდიული მომენტის მნიშვნელობა მიაწერეს. დაეკითხეთ, ბატონებო, თქვენსავე იურისტებს და ისინი აგიხსნიან, რომ ლეგალურად მომქმედ მღვდელ მთავრის აქტი კანონის ფარგლებში მის ხელქვეით ორგანოების მიერ ასასრულებელია...

,,ერთობა'' კიდევაც იზრახებს სამღვდელოებას და აცხადებს, რომ თუ მათ პირში სული მაინც უდგათ დღის, ეს მმართველი პარტიის წყალობით არის, რომელმაც ამ ხნობამდის გადარჩენა არ გამოყო სახელმწიფოსაგან! ,,ნეტავ არიან მორწმუნენი''! ვინ დაუჯერებს დაქირავებულ მწერლებს, რომ სოციალდემოკრატების ,,დაგვიანება'' ძველ-მონოზონების უზომო შებრალებით არის გამოწვეული?!.

ჩვენ ვხედავთ, რომ მენშევიკების ,,პრინციპებიც'' ისეთივე ღირებულებისაა, როგორც მათი მოღვაწეობის ყველა სხვა მხარე და ეს ,,პრინციპები'', ... ... სანთლით დემაგოგობით

## უცხოეთი

### ბერლინი გაფიცვის წინააღმდეგ.

როგორც ვიცით ბერლინში 150 ელექტრონის მუშა გაიფიცა. მთელი საზოგადოების რწმენა იყო, რომ მუშათა მოთხოვნა ლეპა იმდენათ გადაჭარბებულია, რომ მისი დაკმაყოფილება არ შეუძლია ბერლინის თვითმართველობას, რომლის საკუთრებას შეადგენს ელექტრონისა და გაზის სადგურები და წარმოებანი.

კვირას, 7 ნოემბერს პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა წინადადება შეიტანა რაიხსტაგის დილის სხდომაზე, რომ მთავრობის ზომები მიეღო რათა უსაჭიროესი დაწესებულებანი წარმოებს, საავადმყოფოები, რკინის გზა და ფოსტა უზრუნველყოფილიყო წყლით და განათებით. მთავრობის სხდომაზე ყველამ ერთხმად დაჰკრა ბანი. იმავე დღის საღამოს სხდომაზე მოწონებულ იქმნა პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრის სევერინგის წინადადება. სხდომამ დაისწრო აგრეთვე ბერლინის ქალაქის თავი ვერმუთი.

ამის შემდეგ მაგისტრატმა გამოაცხადა: რადგან მუშათა გაფიცვა განსაცდელში აყენებს მთელ სახალხო მეურნეობას, მაგისტრატი იძულებულია განაცხადოს: 1) ვინც ხუთშაბათს 12 ნოემბრამდე, თავის სამუშაოს არ დაუბრუნდება და ნორმალურ მუშაობას არ დაიწყებს. დღის 2 საათამდე, ჩათვლილ იქნება სამსახურიდან დათხოვნილათ. 2) ვინც შემჩნეულ იქნება ისეთ მოქმედებაში მანქანებისა თუ დაწესებულებისადმი, რომელიც ხელს უშლის მუშაობის დაწყებას ან განგრძობას, უნდა ... ჩნდეს და მყისვე დათხოვნილ იქნენ. 3) ვისზედაც ექვს მიიტანენ ამგვარი ბოროტებაში უნდა აღმოჩენილ იქნეს და დროებით ადგილიდან გადაყენებული. ... მისი დანაშაული იქ ... ...ალობა სავსებით არ დამტკიცდება. რაიხსპრეზიდენტმა შეიმუშავა უფლებები, რომელიც უზრუნველყოფს წარმოებას მოულოდნელისა და წინდაუხედავ გაფიცვისა და საბოტაჟისაგან.

### ბოლშევიკები და დამოუკიდებელნი.

როგორ ცნობილია, გერმანიის უკიდურესმა მემარცხენე სოციალისტურმა პარტიამ „დამოუკიდებელთა“ არ გაიზიარა კომუნისტების მეთოდები და აზრები. დამოუკიდებლებმა ამ ბოლო ხანებში შესძლეს გაზეთის გამოცემა, სადაც ისინი დაუზოგავათ ჰკიცხავენ კომუნისტებს, მათ მეთოდებს და „მავნებელ მოღვაწეობას“. გაზეთის სახელია ,,ფრაიჰაიტ'' (თავისუფლება). იგი დამოუკიდებელ სოციალისტთა სახელით ჰკიცხავს მუშათა გაფიცვას, როგორც უდროვოს და მავნებელს ნებილს მთელი ხალხისათვის. გაზეთი მოითხოვს და იმედოვნებს, რომ გაფიცვა სასწრაფოთ დასრულდება. ამას თხოულობს მთელი მუშათა კლასის ინტერესი.

### კომუნისტური საშინელებანი

გერმანული გაზეთები სავსეა ცნობებით, რომელიც გამოქვეყნდა ეხლა სასამართლოებში. საქმე ეხება მიუნხენში ცოტა ხნით დამკვიდრებულ საბჭოთა მთავრობის მუშაობას და ძალადობას. როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობა მიუნხენმა მყისვე მოიშორა თავიდან, მაგრამ დარჩა ,,საბჭოთა'' კვალი: მკვლელობა, ქურდობა, მტაცებლობა, ავაზაკობა, შანტაჟი და დაუსრულებელი ტერორი. პასუხისგებაშია მიცემული რამოდენიმე პირი, რომელნიც ,,ხელმძღვანელობდნენ'' კომუნისტურ გადატრიალებას. მოწმეებმა სასამართლოს გადაუშალეს უსაზიზღრესი სურათები, კომუნისტების ჩადენილი ... ყველაზე უფრო საშინელია ფეხმძიმე ქალთადმი ... და ... რისი შედეგი ქალის წამებით სიკვდილი; ... და შეძლებულ მოხუცთა აწიოკება და სხვა. მთელი საზოგადოება საშინელ მდღელვარებას ამჟღავნებდა თვით სასამართლოშიაც კი. (,,ბერ. ტაგ.'')

### მოსავალი ინგლისში

გამოქვეყნებულია ინგლისის მიწად-მოქმედების სამინისტროსაგან 1920 წ. მოსავლის შედეგები. დასავლეთ ნაწილში ... მცირე ... ... უკლდია უამინდობის გამო, მაგრამ ჩრდილოეთისა და სამხრეთ ნაწილებში მოსავალი შარშანდელზე უკეთესი ყოფილა. განსაკუთრებით ქერი, შვრია, ლობიო, ცერცვი, ბზე და სხ. ბლომათაა მოსული.

### ანვერ-შტრასბურგ შორის

შემდგარია განსაკუთრებული კომიტეტი ფრანგებიდან და ბელგიელებიდან საკითხის გასარკვევად რა პირობებში შეიძლება დაჩქარებით მოწყობა წყლით ურთიერთობისა ანვერიდან შტრასბურგამდე: სანაოსნო შლუზების მოწყობა, ნავების აგებულობა, კომერციული მნიშვნელობა და სხ. საკითხები საჩქაროდ მუშავდება ხსენებულ კომიტეტში ბ. შტრაუსის ხელმძღვანელობით.

### მებაღეობის გამოფენა

პარიზში, ,,მ ჩვენის ბაღში'' გამართ... ... ...ობის გამოფ... ... რომ ... ...

გამოწვეულ არეულ-დარევას არ შეუშლია ხელი, ვერ დაურღვევია ფრანგთა მიზან შეწონილი მუშაობა ამ დარგში. მთელი პარიზი მოდებული იყო გამოფენაზე. მიწად მოქმედების მინისტრი რიკარდი, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხ. რეიბელსი და სხ. მაღალი სტუმრები განცვიფრებული დარჩენ სანახაობით. განცვიფრებაში მოსულან აგრეთვე უცხოელნიც ფრანგთა ნამუშევარით. გამოფენილი იყო 28 ოქტომბერს ბოსტნეულობის, მებაღეობის, ვარდთა ჯიშების და სხ. ნაწარმოებთა ნიმუშები.

## მონარქიული მოძრაობა გერმანიაში

გერმანიის მონარქიული ორგანიზაციის ინიციატორმა ეშერიხმა ჰამბურგში გამართულ მიტინგზე განაცხადა შემდეგი: „ჩემს ორგანიზაციაში ირიცხება 200000 კაცი, რომელნიც ცდილობენ გერმანიაში მონარქიული წესწყობილების დამყარებას, მაგრამ ჩვენ არ გვინდა ჩვენი ხელი იარაღის შემწეობით მოვახვიოთ თავს გერმანიის ხალხს''.

# ტელეგრამები.

## ფრანგული ცნობები

პარიზი. ,,ტანი'' იუწყება: შრომის გენერალურმა კონფერენციამ კინაღამ შინაგან ღრმა კრიზისი განიცადა, რაც გამოწვეული იყო წინადადებით შეექმნათ კონფედერაციის შიგნით კომუნისტური იაჩეიკები თანახმად მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესის რეზოლიუციისა. კონფედერაციის ბიუროს ეროვნულ საბჭოს სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ჟუო და სხვ., რეზოლიუცია კომუნისტური იაჩეიკების ორგანიზაციების მიმართული. რეზოლიუციას მისცა ხმა მხოლოდ 72 კაცმა წინააღმდეგ 28 სა, თავი შეიკავა 23.

ხმის მიცემის ასეთი შედეგები ბიურომ გაიგო ისე, როგორც მეორე კონგრესის რეზოლიუციის ფარული დადასტურება და ამ რიგათ ბიუროს არ აღმოაჩნდა მტკიცე უმრავლესობა. ამის გამო ჟუომ და მისმა ამხანაგებმაც გადასწყვიტეს დაეტოებიათ თავიანთი ადგილები. მაგრამ კრიზისი სასურველათ დასრულდა და ჟუო თავის ადგილზე დარჩა. გაზეთი ,,ტანი'' და საერთოთ მთელი ფრანგული პრესა კიცხავს მეოცნებეთა მოქმედებას, ვინაიდან მათი აზრით ასეთ პოლიტიკას შეუძლია საფრანგეთის შრომის კონფედერაციის სრული დაშლის გამოწვევა.

## ბურცევის განცხადება.

პარიზი. ფრანგულ პრესასთან საუბრის დროს ბურცევმა განაცხადა: ,,რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა განვაგრძოთ ომი ბოლშევიკების წინააღმდეგ, როგორც შიგნით ისე რუსეთის გარეშე. რუსეთის შიგნით დიდი ამბები არის მოსალოდნელი. ბოლშევიკები თავის დაცემის წინ იმყოფებიან. ანტიბოლშევიკურმა წრეებმა უნდა ისარგებლონ, იმ ანარქიულ მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფება საბჭოთა მთავრობა და შესცვალონ იგი ნამდვილ ხალხურ დემოკრატიულ წყობილებით. რუსეთი არ დაივიწყებს იმ დახმარებას, რომელსაც უწევს ამ ჟამად რუსეთის ლტოლვილებს ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკა. ეს საუკეთესო დამამტკიცებელია იმისა, რომ ევროპასა და ამერიკის და რუსეთის შორის მეგობრული განწყობილება არსებობს.''

## ვრანგელის დეპეშა.

კონსტანტინოპოლი. გაზეთ ,,სტამბოლში'' დაბეჭდილია ვრანგელის დეპეშა ადგილობრივ რუსეთის საელჩოს სახელზე გაგზავნილი. დეპეშაში იგი იუწყება: ,,ჯარისა, ფლოტისა და მცხოვრებთა დაცვას ვანდობ საფრანგეთს რომელმაც აღიარა რუსეთის პატრიოტების ბოლშევიკებთან ბრძოლის საქვეყნო მნიშვნელობა. ამავე დროს კრივოშეინმა სთხოვა პრესას დაბეჭდონ მოწოდება დაჭრილთა, ქალთა, ბავშვთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

## ამერიკა და ყირიმის ლტოლვილები.

პარიზი. საფრანგეთში მყოფმა ვრანგელის წარმომადგენელმა მიიღო ვაშინგტონიდან ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ შეერთებულ შტატების მთავრობამ გადასწყვიტა ყირიმის ლტოლვილებს ფართო დახმარება აღმოუჩინონ. ადმირალ ბრისტელს გაეგზავნა განკარგულება, რათა მიიღოს მან საჭირო ზომები რუსეთის ლტოლვილთათვის აქტიურ დახმარების აღმოსაჩენად.

# რუსეთის ცნობები.

## სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. 9 დეკ. ფრონტზე სიწყნარეა.

## დაჩაგრულ ერთათვის.

მოსკოვი. 9 დეკ. „პრავდას“ მოწინავეში სწერენ, რომ ბურჟუაზიული ქვეყანა ინგრევა. მას არ შეუძლია პერსპექტივის შექმნა ვინაიდან ის გრძნობს თავის უძლურებას. დაწყებული ომი რომლის ლოზუნგი იყო ,,ძირს მილიტარიზმი'', დიდი სხვერპლის შემდეგ შეიარაღებულ ქვეყნების მეტ მილიტარიზაციით დასრულდა. ომის დასასრულს ძველი ქვეყნის შესაკავშირებლად ვილსონმა გამოიგონა ერთა ლიგა, რომელმაც ორი წლის არსებობის შემდეგ მოაწერა ხელი თავისივე სიკვდილს. პატარა სახელმწიფოებში, ანტანტას ყოფილ მოკავშირეებში არსებობს საშინელი მღელვარება ანტანტის წინააღმდეგ. ძახილი ,,შორს ანტანტისაგან'' საერთო ლოზუნგათ გადაიქცა. ერთა ლიგა საცოდავ როლს თამაშობს. პოლიტიკას ქმნიან პარიზის, ლონდონის და ვაშინგტონის პოლიტიკოსები. განსაკუთრებით აღმოსავლეთის საკითხში გამოჩნდა ანტანტის უძლურება. სომხეთმა, რომელსაც უწევდა მფარველობას ლონდონის და პარიზის ბირჟა, ჩამოაგდო თავისი მთავრობა და საბჭოთა უფლება გამოაცხადა. ერთა ლიგის წინადადებაზე დაუყონებლივ გაერჩიათ საკითხი, ყველა სახელმწიფომ გარდა საფრანგეთისა, მხოლოდ თანაგრძნობა გამოუცხადეს და აღნიშნეს, რომ ისინი თავისი საქმეებით ძრიან დატვირთულნი. დამარცხებული ერები საბჭოთა დროშის ქვეშ დგებიან იციან რა, რომ მხოლოდ მასში არის ხსნა დასავლეთ ევროპის კაპიტალის მევახშეებისაგან. სურვილი ეწვალებიათ საბჭოთა რესპუბლიკის ტანი გარს შემორტყმულ მცირე ერების საშუალებით შეცვლა და პირიქითი ნაყოფი გამოიღო. მცირე ერები ახლა დებენ საბჭოთა წესწყობილებას, ისინი სტანჯავენ ბურჟუაზიულ ქვეყნის სხეულს და იცავენ რევოლიუციის ცენტრს საბჭოთა რუსეთს.

## ანტანტის დამარცხება აღმოსავლეთში.

,,პეტროგრადსკაია პრავდა'' სწერს, რომ უკანასკნელ თვეში ანტანტის კაპიტალისტებმა საშინელი დამარცხება განიცადეს ახლო აღმოსავლეთის თავის პოლიტიკაში.

— იმისათვის რომ დავეხმაროთ ტრანსპორტს უნდა ავამუშ ვოდ ახალი ქარხნები, უნდა უზრუნველვყოთ მუშები ულუფით. ამისათვის კი ჩვენ უნდა გავაძლიეროთ სურსათ-სანოვაგის დამზადება. მაგრამ სარატოვის და ტამბოვის გუბერნიებში და აგრეთვე თათართა რესპუბლიკაში უკანასკნელ დღეებში პურის მოკრება ნელის ტემპით მიმდინარეობს.

## ნახშირი ამერიკიდან.

მურმანსკში ამერიკის ქვა ნახშირით დატვირთული სამი ნორვეგიის გემი მოვიდა. მოიტანეს 600,000 ფუთი ნახშირი.

## ვრანგელი მოკავშირეების მფარველობის ქვეშ.

რუსეთის სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარე კრასინმა მიმართა ბრიტანეთის პირველ მინისტრს ლოიდ ჯორჯს და იტალიის მინისტრს სფორცას წინადადებით და მიუთითა სერიოზულ მდგომარეობაზე, რომელიც შექმნა კონსტანტინოპოლის ახლო ვრანგელის შეიარაღებული ძალის ყოფნამ. ვრანგელის ჯარის ნაწილი გაიყვანეს ყირიმიდან მოკავშირეთა გემებით. ახლა ეს ჯარები იმყოფებიან ოსმალეთში მოკავშირეთა მფარველობის ქვეშ. ვრანგელის რაზმები არა თუ არ დაშალეს და განიარაღეს, არამედ, პირიქით ხმა მაღლა აცხადებენ, რომ ამ ჯარებს აწვდიან საჭირო მასალას და მომავალში საფრანგეთი დახმარებას აღმოუჩენს. მომავალში, როგორც სჩანს მოკავშირეები ამ ჯარებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გამოიყვანენ. კრასინი მოელის ინგლისის მთავრობიდან, რომ იგი მიიღებს ზომებს, რათა შეუშალოს ხელი ვრანგელს ოსმალეთის ტერიტორია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ინგლისის მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები ვრანგელის ჯარების განსაიარაღებლად და დასაშლელად.

## საერთო გაფიცვა ესპანეთში.

ორშაბათს მთელ ესპანეთში საერთო გაფიცვა გამოაცხადეს.

## გაფიცვა ვრცელდება.

ნორვეგიის გაფიცულ რკინის გზელებს უერთდებიან ფაბრიკების და ქარხნების მუშები.

## სამხედრო წესები ინდოეთში.

ინდოეთში ინგლისის მართველ პირების წინააღმდეგ მიმართულ რევოლიუციონურ მოძრაობის გაძლიერების გამო განსაკუთრებული საალყო წესები შემოიღეს.

## უმუშევრობა საფრანგეთში.

საფრანგეთის ჩრდილოეთის ოლქებში უმუშევართა რიცხვი იზრდება მუშათა ოჯახებში გამეფებულია სიღარიბე ზოგიერთ საქსოვი ქარხნები ქირაობენ მუშებს კვირაში მხოლოდ სამჯერ. ფაბრიკების პატრონები დიდ მოგებას იღებენ.

## ვრანგელთან.

რუმინიის გაზეთი ,,ოპინია'' იუწყება: არც ერთი ჯარის კაცი არ წასულა ყირიმიდან ვრანგელთან ერთად თავისი სურვილით. ჯარის კაცებს აიძულებდნენ დამსხდარიყვნენ გემზე ფრანგი ოფიცრები [illegible]

ზე, მაშინ როდესაც ვრანგელი დასეირნობს ბოსფორში მისი ლტოლვილები ყრიან მშიერ მწყურვალნი. საფრანგეთის ბურჟუაზია არ წუნარდება და ეძებს სად იშოვოს ახალი ჯარები, რომელთა გაგზავნა შეიძლებოდეს რუსეთის წინააღმდეგ.

## გერმანიის კომუნისტური პარტია.

გერმანიის გაერთიანებული კომუნისტურ პარტიაში ნახევარ მილიონზე მეტი მუშა ირიცხება. ეს პარტია ევროპაში მეორე უძლიერეს პარტიათ ითვლება. გერმანიის კომუნისტებსა (?) სიტყვა წარმოსთქვეს შვეიცარიისა, ჩეხო სლოვაკიისა და ჰოლანდიის კომუნისტურ პარტიების წარმომადგენლებმა.

## ამერიკა და რუსეთი.

ამერიკის კონგრესის ახალ სესიაზე დაისმება საკითხი რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის შესახებ.

## ამერიკელ ამხანაგების საჩუქარი.

საბჭოთა რუსეთში დაბრუნებულმა ამერიკელ ამხანაგებმა შესწირეს რუსეთს რვა ყუთი მედიკამენტები, რომელიც ჯანმრთელობის კომისარიატს გადაეცა. ამერიკელ ამხანაგების მეორე ჯგუფმა გადასცა მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს 11 ყუთი მედიკამენტი ამერიკელ მუშების მესამე ჯგუფმა რიცხვით 170 კაცმა შესწირა წითელ ჯარს 340 ათასი მანეთი საბჭოთა ფული და რამდენიმე ათი ათასი მანეთი ამერიკისა, ინგლისისა, გერმანიისა და ესტონეთის ფულით.

# ლიონის ცნობები.

## საბერძნეთში.

თანახმად ფრანგული პრესის მიერ მიღებულ ცნობებისა, საბერძნეთის მთავრობამ დაადგინა გაუგზავნოს დეპეშა კონსტანტინეს და მოიწვიოს იგი საბერძნეთში, როგორც კი გამოირკვევა პლებისციტის საბოლოო შედეგები.

## არჩევნები ავსტრიაში.

ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევა ხუთშაბათამდე გადაიდვა. მიუხედავად იმისა, რომ ბარათები ოთხჯერ მისცეს, მაინც არც ერთ კანდიდატს არ მიუღია ხმის აბსოლუტური უმრავლესობა.

## სომხები და ქემალისტები.

იუწყებიან რომ: ღამით 2-3 დეკემბ. ალექსანდროპოლში მოაწერეს ხელი საზავო პირობებს სომხებმა და ქემალის ტებმა. სომხეთის საზღვრებში შეტანილია მხოლოდ ერევანის გუბერნიის რაიონები და გოგჩის ტბა. ყარსი და ალექსანდროპოლი არ არის შეტანილი. რაც შეეხება სომხეთის იარაღს, უკანასკნელი თანახმად საზავო პირობებისა უნდა გადაეცეს ოსმალეთს ზარბაზნების მცირე რიცხვის გამოკლებით.

## იაპონიის ფლოტი მონტევიდეოში.

იაპონიის ფლოტის სარდალმა ინახულა ურაგვაის რესპუბლიკის პრეზიდენტი. მიღების შემდეგ იაპონიის მეზღვაურებმა პატივის ცემის ნიშნათ მთავრობის შენობის წინ გაიარეს.

# სომხეთში

— ბათომში მყოფ სომხეთის მისიის ცნობით ბოლშევიკებმა ხატისოვს დახვრეტა გადაუწყვიტეს.

— თბილისში გავრცელებული ხმების თანახმად ბოლშევიკებს გენ. ჰდრო და უხვრეტიათ.

— საბჭოთა რუსეთის მთავრობამ საბჭოთა სომხეთისათვის დაამზადა ორმოცი ვაგონი ფქვილი, რომელიც სომხეთმა უნდა მიიღოს საქართველოს რკინის გზის ლიანდაგით.

# გაზეთ ,,საქართველოს'' დახურვა.

გუშინ, ნაშუადღევის 2 საათზე გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში გამოცხადა განსაკუთრებულ რაზმის უფროსის თანაშემწე, თავის აგენტებს თანხლებით და რედაქციას წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრის მდივნის მიერ ხელ მოწერილი განკარგულება, შემდეგი შინაარსისა:

განსაკუთრებულ რაზმის უფროსს.

თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის წერილობითი ბრძანებისა, დაუყონებლივ დახურეთ და დალუქეთ გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია და კანტორა.

მინისტრის ასეთი განკარგულება გამოწვეულია „საქართველოს“ № 170-ში მოთავსებული წერილით, რომელშიაც დაგმობილია რესპუბლიკის მთავრობის ხომა, მიმართული მინისტრებში დეგროვილ ერის სამკვიდრებელის უკეთ დაცვისა, და რომელშიც ხალხს მოუწოდებენ გამოსვლებისათვის მთავრობის (?) წინააღმდეგ.

— —

მინისტრის ბრძანება სისრულეში იქნა მოყვანილი.

## ,,ახალი საქართველოს'' კონტორისაგან.

გაზ. ,,ახალი საქართველოს'' რედაქცია აუწყებს გაზ. ,,საქართველოს'' ხელისმომწერლებს, რომ დახურულ გაზეთის კონტორასთან შეთანხმებით, მათ გაეგზავნებათ გაზ. ,,ახ. საქართველო''.

# ახალი ამბები.

## მთავრობაში.

— მთავრობის თავმჯდომარის სახელზე ახალ ჯაგრიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა: გაგრის მაზრის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა კონფერენცია გისურვებთ თქვენ ნაყოფიერ მუშაობას და ფიცსა სდებს მთავრობასთან და დამფუძნებელ კრებასთან ერთად იბრძოლებს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და აღორძინებისათვის.

## სამინისტროებში.

— მიწად მოქმედების სამინისტროში. მიწად მოქმედების სატყეო განყოფილებამ თავის ხელქვეით დაწესებულებებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიდაც შემდეგს აღნიშნავს:

საქართველოს რკინის გზების სადგურებიდან შეშის და სხვა სატყეო მასალის გამოგზავნის დროს ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სატყეო განყოფილება რესპუბლიკის ტყეთა გამგეებს და აგრეთვე გზათა სამმართველოს წინადადებას აძლევს მიიღონ და გამოგზავნონ შეშა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მათ წარუდგენენ სათანადო მოწმობებს ადგილობრივ მმართველობის მიერ გაცემულს იმის შესახებ, რომ შეშა და სატყეო მასალები დამზადებულია და შეძენილია თანახმად არსებულ კანონებისა. ცირკულიარში აღნიშნულია, რომ ასეთ მოწმობების მიღების გასაადვილებლად და გასამარტივებლად დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიმართონ უშუალოდ ადგილობრივ ტყის გამგეებს და არა მიწად მოქმედების სამინისტროს.

— ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დეპარტამენტში შესდგა ტექნიკურ კომიტეტის სხდომა, რომელზედაც განიხილეს პროექტი ინსტრუქციისა ექსპერტებისათვის.

პროექტი მოიწონეს და გადასწყვიტეს საბოლოო დასამტკიცებლად გადასცენ იგი ტეხნიკურ კომიტეტის საერთო სხდომას.

ამავე სხდომაზე განიხილეს საბოლოო ხარჯთ აღრიცხვა საქართველოს წონისა და ზომის პალატასთან არსებულ შესაეთებელ სახელოსნოს მოწყობისა. გადასწყვიტეს სავაჭრო მოხსენება და ხარჯთ-აღრიცხვა წარუდგინონ ფინანსთა [illegible]

[illegible]

როს იურისტ კონსულტს ცალკე მიეცა, რომ მისი ძეს ახნაზაროვს ტფილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებსა, დაბებსა და ადგილებში დაარსებული სტამბები, ლიტოგრაფიები და ყოველგვარი საბეჭდავი დაწესებულებანი დაათვალიეროს, გამოარკვიოს, რამდენად სრულდება ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა მთავრობაში წარდგენის კანონი (იხ. 1919 წ. კან. კრებ. № 22, კან. № 235) და თუ აღმოაჩნა, რომ ეს კანონი დარღვეულია, სამართალში მისცეს ამ კანონის დამრღვეველნი კანონის მე-5 მუხლში აღნიშნულ სასჯელისა და ჯარიმის გადასახდევინებლად, რისთვისაც უფლება მიეცეს სასამართლოში და მთავრობის სხვა დაწესებულებაში აღძრას საჭივარი და აწარმოოს ამის შესახებ საქმეები სახალხო განათლების სამინისტროს სახელით.

— შრომის სამინისტრომ ყველა მუშათა მაგიდას შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა: თანახმად ა. წ. სექტემბრის 30-ს დადგენილებისა, ჯარის-კაცთა ულუფა მიეცემოთ სამხედრო უწყების დაქირავებულ მოსამსახურეთ. ეს მუშები და მოსამსახურენი უნდა დაკმაყოფილდენ მუშათა მაგიდით საერთო საფუძვლების თანახმად. იმ ადგილებში, სადაც მუშათა მაგიდა არ არსებობს, მათ უნდა მიეცეთ მუშათა მაგიდის მიერ განსაზღვრული ნორმა. რაც შეეხება ოფიცრებსა და სამხედრო მოხელეთ, მათ სამხედრო უწყებიდან უნდა მიიღონ ჯარისკაცის ჩვეულებრივი ულუფა. შრომის სამინისტრო აუწყებს ამას მუშათა მაგიდებს ცნობისათვის და სახელმძღვანელოდ, წინადადებას აძლევს მათ მიიღონ ზომები მთავრობის ზემოაღნიშნულ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

— მომარაგების სამინისტროში. მომარაგების სამინისტრომ ფრანგულ სამრეწველო და საფინანსო საზოგადოებასთან, რომელიც ფრანგულ რადიო-ელექტრიულ საზოგადოებას წარმოადგენს, ხელი მოაწერა იმ ხელშეკრულებას, რომელიც ეხება საქართველოში ძლიერი რადიო სადგურის ჩამოტანასა და მოწყობას. რადიო სადგურის მოქმედების რადიუსი უნდა უდრიდეს ტფილისიდან ლონდონამდე არსებულ მანძილს. ახალ [illegible] კოვთან და სხვ. თანახმად ხელშეკრულებისა, მომარაგების სამინისტრომ რადიო სადგურის მოწყობაში უნდა გადაიხადოს სათანადო რაოდენობის სოხუმის თამბაქო. სადგური მოწყობილი უნდა იქნეს მ უახლოესი 6 თვის განმავლობაში.

ამ დღეებში ამავე პირობებში ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას 4 უმავთულო ტელეფონის სადგურთა მოწყობის შესახებ.

ეს სადგურები მოეწყობა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში. უმავთულო ტელეფონის ცენტრალური სადგური იქნება ტფილისში.

— იუსტიციის სამინისტროში. სოხუმის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ აუწყა იუსტიციის მინისტრს, რომ სასამართლოს განყოფილებათა საერთო კრებამ 1921 წ. სოხუმის ოლქის სხვა და სხვა ადგილებში შემდეგი სესიები დანიშნა:

1) ოჩემჩირეში იანვრის 11—14 მდე, 8—11 თებ., მარტის 8—10-დე, და მაისის 6—10-მდე.

2) გუდაუთში—იანვრის 28—25-მდე, თებერვლის 22—25-მდე და აპრილის 13—16-მდე.

3) გაგრაში მარტის 23—26 მდე, აპრ. 27—30 მდე; მაისის 18—21 და ივნისის 22—25-მდე. გალში—ივნისის პირვ.—4-მდე.

— ოთხშაბათს, დეკემბრის 8-ს, იუსტიციის მინისტრის რ. არსენიძის თავმჯდომარეობით შესდგა კანონთა გადამსინჯავ კომისიის პლენარული სხდომა. განიხილეს კომისიის სისხლის სამართლის განყოფილების მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წესდებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ. კომისიამ ცვლილებები შეიტანა წესდების მე-9 მუხლში. კანონპროექტის განხილვა არ დამთავრებულა. შემდეგი სხდომა დეკემბრის 11-სათვის არის დანიშნული.

## დამფუძნებელ კრებაში.

რადიო სადგურის მოწყობა. დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ განიხილა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას გადასცა პროექტი დეკრეტ სასამართლოში ძლიერ რადიო სადგურის მოწყობის შესახებ.

— კონსტიტუციის განხილვა. დამფუძნებელი კრების სხდომაზე დეკემბრის 7 გადასწყვიტეს საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განსახილველად გარდა მორიგი სხდომებისა დანიშნოს სხდომები ოთხშაბათობით 5 ნახ. საათ. აღ. 10 ს. და კვირაობით 12—3 საათ.

— დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის სახელზე ბათომიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მოვიდა: დეკემბრის 4 ს შესდგა მაჰალითის თემის საერთო კრება, რომელზედაც ი. რამიშვილმა და მიქაბერიძემ მოხსენება გააკეთეს. მოხსენების შემდეგ კრებამ დაადგინა მიესალმოს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას და განუცხადოს მას, რომ კრებამ მზად არის აღმოუჩინოს მათ საჭირო დახმარება. თავის მხრივ თემი შუამდგომლობს მთავრობის წინაშე ოლქში დემოკრატიულ წყობილების დამყარებას ავტონომიურ საფუძველზე.

## თვითმმართველობებში.

— ქალაქის თვითმმართველობის მორიგ სხდომაზე, რომელიც დანიშნულია შაბათისათვის, შემდეგი საკითხებია განსახილველი: 1. კონტროლიორთა რიცხვი გადიდებისა, და 2. საბინაო განყოფილების ინსტრუქციის შეცვლისა და და სხვ. შესახებ.

## სხვა და სხვა

— შეშის სამეურნეო დამზადება. ტყის საბჭომ მიიღო რა მხედველობაში არსებული მწვავე შეშის კრიზისი, დაადგინა შეუდგეს დაუყოვნებლივ ტფილისის ახლო მდებარე ცენტრებში შეშის და ნახშირის სამეურნეო დამზადების ორგანიზაციის სარაიონო ტყის გამგეობის საშუალებით. განზრახულია ესეთი დამზადების ფართო მასშტაბით წარმოება.

— ეროვნული სამხატვრო გალერეია. საქართველოს ეროვნული გალერეია აცხადებს, რომ კვირას დეკემბრის 12, დღის 1 საათზე, გალერეის ბინაში (რუსთაველის პრ. № 13) გაიხსნება ძველი ხატვრობის გამოფენა. გამოფენილი იქნება 16—19 საუკუნეებში ნახატები ქართველ სპარსელ და დასავლეთ ევროპის მხატვართა მიერ, მხატვრებს, კულტურულ საზოგადოებათა და პრესის წარმომადგენლებს შეუძლიათ უფასოთ შემოსვლა. განსაკუთრებული მოსაწვევი ბარათები არავის არ დაეგზავნება.

— სოფ. დაბლა-საქარის წარმომადგენელნი: 9 დეკემბერს ტფილისში ჩამოვიდნენ სოფ. დაბლა-საქარის წარმომადგენელნი: ბესარიონ პავლეს ძე გურული და სამსონ თევდორეს ძე გურული, რომელნიც ამ დღეებში წარუდგებიან მთავრობის თავმჯდომარეს. მათ დავალებული აქვთ მთავრობის თავმჯდომარეს თხოვონ ხსენებულ სოფელში მდებარე ქვებულიძისეული საფონდო ადგილი დარჩეს სასოფლო-საფონდოთ, რომელსაც ეპატრონება საქარაშივე არსებული სანერგე, რადგან უმიწობის გამო განიცდის დიდ სივიწროვეს.

— ქუთაისი. დეკ. 9. (ს. დ. ს. საქ. კორ.) ქუთაისში დაარსდა მწერალთა საზოგადოება. საზოგადოების მიზანია ლიტერატურულ კლუბის გახსნა და საგამომცემლო ფონდის შექმნა. საზოგადოების თავმჯდომარეთ არჩეულ კ. დადიანი, თავმჯდომარის ამხანაგად ვამეფრინდაშვილი.

## ისქანდერ მუნჯის ფელეტონი.

## ახალი ლიტანია.

დიდება—მთავრობასა—ჩვენსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მთავრობავ ჩვენო, მთავრობავ ძლიერო, მთავრობავ მომაკვდავო, შეგვიწყალე ჩვენ.

მთავრობავ ჩვენო, რომელი ხარ ქალაქსა ტფილისსა შინა, იყავ ნება შენი, მოვედინ სუფევა შენი; პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს და მოგვიტოვე კონტრ-რევოლიუციონერობა ჩვენი, ვითარცა მივუტოვებთ ჩვენ სამინისტროსა მომარაგებისასა შიმშილსა, წყურვილსა და სიცივესა მწვავესა და ნუ დაგვხოცავ ჩვენ სიცივითა, სიმშილითა და წყურვილითა, არამედ გვიხსენ ჩვენ ქემალ ფაშისა, დაშნაკელებისა და ბოლშევიკების შემოსევისაგან. ამინ.

მერმე და მერმე მშვიდობით მთავრობისა მიმართ ვილოცოთ.

მთავრობავ, შეგვიწყალე.

კეთილ მორწმუნე სოციალ-დემოკრატთა მინისტრებისა კეთილ დღეობისა, კარგად ყოფნისა და დღეგრძელობისათვის ვილოცოთ.

მთავრობავ, შეგვიწყალე.

კეთილ მორწმუნე, მხნე და შეუპოვარისა, ერთგულისა, თავგანწირულისა, რესპუბლიკის თავდამცველისა და ბოროტი მტრისაგან მუდამ მხსნელისა გვარდიისა ჩვენისათვის ვილოცოთ.

გვარდიავ, შეგვიწყალე.

კეთილ მორწმუნე გვარდიის დამხმარებელ საქართველოს რესპუბლიკის ერთგულ ლაშქრისათვის ვილოცოთ.

ლაშქარო, დაგვიფარე.

ქუთათურისა მილიციისა მოქმედებისა გელათის მონასტერსა შინა ამბისა საკითხავი.

მოხედე.

რა ჟამსა შინა მივიდა მილიცია ქალაქისა ქუთაისისა გელათის მონასტერში, შეაღო კარი წმიდისა საკურთხეველისა, აღილო ბარძიმ-ფეშხუმი, ჯვარი პატიოსანი და მრავალი სამკაული და განძი ძვირფასი, ჩააწყო ყოველივე ესე ტყლაპისა ყუთებსა შინა და წარიღო ქუთაისის კომისარიატში. ხოლო კომისარმა მან ქუთათურმა წარგზავნა სამკაული ყოველივე ძვირფასი მუზეუმში დასაკრძალავად.

შეიტყო ამბავი ესე მღვდელ მთავარმა, მივიდა მთავრობასთანა და რქვა:

მარქვა, რად ინება მილიციამა მან ქუთათურმა წარმოღება სამკაულისა ძვირფასისა, კუთვნილებისა გელათის მონასტრისა.

რქვა მთავრობამ: სამკაული იგი ძვირფასი კუთვნილებაა რესპუბლიკისა სოციალ-დემოკრატიულისა და დაკრძალულ უნდა იქმნეს რესპუბლიკისა მუზეუმში.

წავიდა მღვდელ მთავარი იგი ტაძარში და შეევედრა უფალსა: შეუნდე, უფალო, მილიციასა და კომისარსა მას ქუთაისისა, რამე თუ არა უწყიან, რასა იქმნიან...

დიდება, მილიციავ ქუთათურო, დიდება შენდა.

მერმე და მერმე მშვიდობითა ქუთათურისა მილიციისათვის ვილოცოთ.

მილიციავ, შეგვიწყალე.

კეთილ-მორწმუნე ძლიერისა და უძლეველისა ქუთათურ მილიციის უფროსსა, კომისარებსა და ყოველ კეთილ მორწმუნე მილიციონერებსა მომადლე მთავრობავ, კეთილი ცხოვრება, ჯანსაღობა და კეთილ დღეობა მრავალ ჟამიერ.

მრავალ ჟამიერ, მრავალ ჟამიერ, მრავალ ჟამიერ.

# პარტიული ცხოვრება.

## მე-2-ე უბნის კომიტეტის სხდომა.

შაბათს ქრისტეშობისთვის 11-ს საღამოს 6 საათ. პარტიის ბიუროში დანიშნულია მე-2-ე უბნის კომიტეტის სხდომა. სხდომას დაესწრება მთავარი კომიტეტის წარმომადგენელი. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები. წევრთათვის დასწრება აუცილებელია.

## პროვინციის ორგანიზაციების საყურადღებოდ.

ერ. დემ. პარ. მთავარ კომიტეტთან არსებული მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი ავალებს პროვინციის ორგანიზაციებს დაუყონებლივ უპასუხონ 1170 № ით დაგზავნილ ცირკულიარს.

პროვინციის ორგანიზაციებს ვსთხოვთ აგრეთვე აცნობონ მთავარი კომიტეტის მდივანს, ღებულობენ თუ არა წესიერად გაზეთებს.

## მოწაფეთა კრება.

კვირას ქრისტეშობისთვის 12-ს დღის 10 საათისათ. ერ. დემოკ. პარ. მთავარ ბიუროში (სასახ. ქ. № 5) დანიშნულია ვაჟთა 6 გიმნაზიის ერ. დემ. პარ. მოსწავლეთა კრება, რომელზედაც უნდა აირჩიონ დელეგატები მოსწავლე ახალგაზრ. 4 კონფერენციის. ამავე კრებაზედ ევალებათ გამოცხადდენ რეალ. [illegible] ქალთა ეპარქიალ. სასწ. და [illegible] 7 გიმნაზ. მოსწ. წარმომა[illegible] ეროვნულ დემოკრატ. [illegible] გაზრდათა სრუ[illegible] ორგან ზაციებ[illegible] მოწვეული[illegible] განსა[illegible]

გ. მოხსენებანი ადგილობრივი ორგანიზაციებიდან.

დ. ჩვენი პარტია.

1). პროგრამული მხარე:

ა. პოლიტიკური ნაწილი;

ბ. სოციალ ეკონომიური ნაწილი.

2). ტაქტიკა.

3). პარტიული მუშაობა.

ა. მთავარი კომიტეტი.

ბ. დამფუძნებელი კრების ფრაქცია.

გ. პარტიული პრესა.

დ. გეგმა მომავალი პარტიული მუშაობისა

ე. არჩევნები.

ვ. ზოგადი ხასიათის მოხსენებანი.

წარმომადგენლობის წესი:

1. ახალგაზრდათა მთავარი და სტუდენტთა კომიტეტების სრული შემადგენლობა.

2. ყველა მოსწავლე ახალგაზრდათა ორგანიზაციებიდან ყოველს 50 წევრზე 1 დელეგატი.

3. სადაც 50-ზე ნაკლებია, შეუძლია იყოლიოს კონფერენციაზე 1 დელეგატი.

ყველა ორგანიზაციებივალდებულნი არიან წერილობით წარმოადგინონ მოხსენება ორგანიზაციული მუშაობის შესახებ და პროგრამულ კითხვებზე არა უგვიანეს 15 დეკემბრისა.

5. დელეგატს უზრუნველ ყოფს ადგილობრივი ორგანიზაცია.

ვრ. დემ. პარტ. ახალგაზ. მთავარი და სახელ უნივ. სტ. კომიტეტები.

---

ორშაბათს დეკემბრის 13 ს საღამოს 7 ნახ. საათზე გაზ. ,,საქართველოს''-ს რედაქციის ბინაზე დანიშნულია ვროვ. დემოკრ. სტუდენტთა კრება.

დღის წესრიგი:

1. მომენტი.

2. ალ. ასათიანის მოხსენება.

3. კომიტეტის მოხსენება განვლილი წლის მუშაობის შესახებ.

4. მოსწ. ახ-თა მე-4 კონფერენციისათვის დელეგატების არჩევა.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

კრება შესდგება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

სტუდენტთა კომიტეტი.

## თეატრი და ხელოვნება.

[illegible]

ელოდა ,,ბერდო ზმანიას'', რადგან სათეატრო წრეებმა ამ ახალ პიესას დაუკავშირეს ქართული დრამის პირველი თეატრალური დადგმა.

ქართულ თეატრს ყველა სხვა ნაკლზე უფრო რეჟისორის ხელი აკლია და და ჩვენის აზრით, ერთი მთავარი მიზეზთაგანი ქართული თეატრის ,,უინტერესობის'' სწორედ აქ მარხია.

თანამედროვე მაყურებელმა თავისი შეგნებით წინ გაუსწრო თანამედროვე თეატრს: მას უკვე აღარ აკმაყოფილებს პრიმიტიული აქსესუარები ძველი თეატრის და გამოფხიზლებული ქართული წარმოდგენის ლალავს მის თვალს, ეხამუშება მის ესთეტიურ გემოვნებას და უკარგავს ინტერეს წარმოდგენას.

მაგრამ ეს არ ნიშნავს უარყოფას რეალისტური თეატრის—პირიქით, ასეთი თეატრი უფრო იზიდავს ჩვენი დროის მაყურებელს; მაგრამ რეჟისურამ აილო ყველა უარყოფითი მხარეები ამ თეატრისა და არ ისარგებლა მით, რაც განსაკუთრებით საჭირო არის—ანსამბლის დაცვით, მასსიური სცენების სრულ ყოფით და სცენიური მხატვრობის ნატურალისტური თვალით.

ქართველ რეჟისსორისათვის უცხო ყოფილა მხატვარი და მუსიკოსი, ხოლო თეატრისათვის ორივე ისეთივე განუყოფელი ნაწილია მისი, როგორც მსახიობი და რეჟისორი.

გუშინდელ წარმოდგენაზედ, ჩვენ შიშით მივდიოდით... გვეგონა ახალგაზრდა რეჟისსორი ვერ დაიპყრობდა ყველა ძალებს, ჯერ კიდევ გაუშალაშინებელ თეატრისა ისე, რომ ნამდვილი თეატრალური დადგმა გვენახა.

საბედნიეროთ, ჩვენი ეჭვები დამარცხდენ—

გაიმარჯვა რეჟისსორმა.

ალ. შანშიაშვილის ,,ბერდო-ზმანიას'' ამ ერთი წლის წინ, მე ვერც კი წარმოვიდგენდი ქართულ სცენაზედ: პრიმიტიული ტეხნიკა ჩვენი სცენისა არაფითარ შესაძლებლობას არ იძლეოდა, რომ ასეთი ძნელად დასადგამი პიესა გვენახა.

სიმბოლიური ხაზები, რომელშიც ავტორი შლის თავის რეალისტურ იდეას მიწიერი ცხოვრების არარაობაზე, კულტურული რეჟისორს და დიდი გემოვნების მხატვარს ითხოვს, რომ ვამჰკათ არ გადააქციოს წარმოდგენა.

ალ. ახმეტელმა და ვ. სიდამონ ერისთავმა უსათუოდ გაიმარჯვეს და სახელმწიფო დრამის თეატრში ლამაზი სანახაობა შექმნეს.

დედა მიწა, რომელიც სრულ ყოფილია ყველა ბუნებრივი ძალებით, ახალ ძალას ითხოვს და მისი წიაღიდან იშვება ადამიანი; იგი შვილია დედა-მიწის, რომელმაც ყოველივე მიწიერით დააჯილდოვა იგი.

ადამიანი მოდის ამ ქვეყანათ ბერდოს სახელით და უნდა განიცადოს ყველა მიწიური მოვლენანი, ეზიაროს უსრულეს ბედნიერებას, მაგრამ ვერაფერი ვერ მისცემს მას უკვდავების ნირვანას და მაინც ისევ იმ წიაღს უნდა დაუბრუნდეს, საიდანაც იშვა.

ადამიანს თან სდევს ორი ძალა: ბედი და შური, რომელნიც განაგებენ მისი ცხოვრებით და ბრძანებლობენ მის არსებას.

[illegible]

რამბერდო თავადი, შურის გავლენით ზევით და ზევით იწევს: ჰკლავს მეფეს და თვით იღებს სკიპტრას.

მაგრამ ყველაფერს აღსასრული აქვს: ულმობელი ცხოვრება მაინც თავისას შვება: ბერდო ხანის ქვეშ ილუნება და მოხუც მეფეს ყბლა ჰაბუკობა სურს;

ბედია ეხლა მოხუცი გლახაკის სახით ევლინება მას და მისი სურვილის შესრულებას ჰპირდება: უცხო ასული ისევ ანიჭებს მოხუცის ჭაბუკურ განცდას, მაგრამ მოეხდის თუ არა იგი პირ საბჟრავს, საშინელი სიკვდილი, რომელიც ამ ქალის სახით ეჩვენება, სცვლავს მის მიწიერ ცხოვრებას.

ალ. შანშიაშვილის იდეა გაშლილია შესანიშნავად გათლილ ლექსში, რისი დიდი ოსტატიც არის ავტორი; მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ მგი სავსებით სცენიური იყოს, რადგან მოკლებულია მოქმედებას—დრამის აუცილებელ მოთხოვნილებას.

,,ბერდო-ზმანია'' უფრო პოემა არის' შესანიშნავი პოემა, რომელიც დიდ მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენს. მაგრამ თეატრისათვის სავსებით მოქნილი არ არის.

ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს რეჟისორის საქმეს და სადაც მოქმედება ნელია, მან უნდა დაიპყროს მაყურებელი—და ალ. ახმეტელმა სძლია ამ სირთულეს.

პირველი მოქმედება—ბერდოს ქვეყნად მოსვლისა, სადაც მიწიური იყოფა ზეციურიდან, რეჟისორს საინტერესოდ დაუდგამს შირმებში; საერთოდ, შირმების პრაქტიკამ სხვა და სხვა სცენაზედ ერთნაირი შედეგს ვერ მიაღწია, მაგრამ ალ. ახმეტელს, უთუოდ ემორჩილება სცენიური ტეხნიკა, რადგან შირმების დადგმის მთელი სირთულე დაძლეულია ისევე, როგორც ფერების დიდი შეხმატკბილება დაცული, რაც მხატვრის კარგ გემოვნებას ახასიათებს.

ადამიანის ფიგურის შემცირება ბუნებრივ ძალებთან შედარებით, დიდი ოსტატობით მიუღწევია რეჟისორს; მაგრამ არის ერთი ნაკლიც: დიქცია გრიგალის და ცეცხლის ამსრულებელთა იმდენათ საშინელია, რომ ოდნავ მაინც ანელებენ საერთო შთაბეჭდილებას. შესანიშნავად არის მოწყობილი დედის მოსვლაც და ბერდოს ორეულის ჩვენება.

ბ ნ ახმეტელის დადგმას ზოგიერთი ნაკლიც აქვს, მაგრამ არ გვსურს მათს შესახებ ეხლა ვილაპარაკოთ, რადგან გვგონია, რომ პირველი დადგმით და ზოგიერთ აქსესუარების უქონლობით აიხსნება იგი. მეორე წარმოდგენის შემდეგ ჩვენ უფრო დეტალურად შევეხებით მას და დაფასებაც მაშინ უფრო სამართლიანი იქნება.

მასსიური სცენები ძალიან კარგათ მიდიან, რაც ალბათ რეჟისორის დიდი შრომის შედეგი იქნება.

შესანიშნავია მუსიკა არაყიშვილისა, განსაკუთრებით ლეკური და მისი ნაწარმოების დაფასება ცალკე წერილს მოითხოვს.

ყველა ამსრულებლები თავის ადგილზედ იყვნენ, მხოლოდ ბ-ნი ქიაურელი ჩვენის აზრით თავის როლში არ იყო; ეს ნიჭიერი მსახიობი სრულებით სხვა როლებისათვის არის შექმნილი და მართალია, იგი არასოდეს როლს არ გააფუჭებს, მაგრამ როლები მაინც მისი ნიჭის თვისებას უნდა შეუფარდონ.

კარგი და მოფიქრებული სურათი ბედიასი შექმნა ბ-ნმა [illegible]; ასევე კარგი იყო ქ-ნი ჯ. ანჯაფარიძისა; ეს მსახიობი თანდათან იზრდება და მისი არტისტიული ტემპერამენტი დიდ მომავალს უნდა ანიჭებდეს მას.

ბ მა ციცაშვილმა ძალიან გაგვაკვირვა: ესეთი შეგნებული შესრულება ისეთი რთული როლისა, როგორიც შურია, სრულებით მოულოდნელი იყო ჩვენთვის. მსახიობი სრულებით გარდაიქმნა ამ როლში, რაც რეჟისორის მუშაობასაც უნდა მივაწეროთ.

საერთოდ, დიდი მადლობა ეთქმის ბ ნ ახმეტელს, ვ. სიდამონ-ერისთავს და დ. არაყიშვილს, რომელთაც ასეთი დიდი მუშაობა გაუწევიათ.

ფ. ჯ.

## სამხატვრო ქრონიკა.

სახალხო სახლში.

ზუბალაშვილის სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ წრემ დაადგინა: 12 ამა დეკემბერს გამართოს გვარდიის დღე, წარმოდგენილი იქნება 1 მოქმედება ,,მსხვერპლიდან'' და ,,რაც ვინახავს ველარ ნახავ.''

მხოლოდ 13-ს გადიდებულ ფასებით წარმოდგენილი იქნება ,,ღალატი', ფრონტის დამხმარე კომიტეტის ფონდის გასაძლიერებლად.

კამგეობამ გადასწყვიტა ახლო მომავალში გადუხადოს იუბილე ქ-ნ სოფიო რიმანიშვილ-დგებუაძეს 20 წლის სახალხო სცენაზე მოღვაწეობის შესრულების გამო.

## თავდაცვის ფონდი.

— თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობის პრეზიდიუმი მოთავსებულია და მფუძნებელ კრების შენობაში, ოთახი № 21. შესავალი ერმოლოვის ქუჩ. ტელეფ. № 6—18.

— პრეზიდიუმი იღებს ყოველ დღე 11—1 საათ. მთავარი გამგეობის საქმეების მართველი—9—3 საათ. და საღ. 6—7 საათ.

— პრეზიდიუმის სხდომები იმართება შაბათობით საღ. 7 საათ.

— მთავარი გამგეობის დადგენილებათ თანახმად შეწირულება ფულითა და ძვირფასი ნივთებისა მიიღება სახელმწიფო ბანკში, რომელიც ამ საქმისათვის ცალკე შტატს ადგენს.

## პასუხი ბ. გივს.

გაზეთ ,,ახალ სხივში'' № 31, 28 ნოემბ. მოთავსებულია წერილი ლანჩხუთიდან ვინმე გივის, რომელიც შეუწუხებია იმ გარემოებას, რომ ვეჭარ მშვიდობაძის მკვლელები დათარეშობენ თავისუფლათ, თან დასძენს, რომ გამომძიებელს შევეკითხეთ, მაგრამ მან გვიპასუხა ჩემი საქმე არ არის და სხვ.

წილოსანი და იმნაიშვილი, რომელთაც ბრალდებათ მშვიდობაძის ეკვლელობა თავის ნებით გამოცხადდენ ადგილობრივ მილიციაში.

მე ისინი არ გამითავისუფლებია თავდებ ქვეშ და ჩემი მეოხებით მათ არ უთარეშებიათ. მე სრულებით მათი ბრალდების შესახებ არაფერი არ მცოდნია.

შემთხვევას ადგილი ქონია წასულ 1919 წელში მაისის 1 რიცხვს. საქმეც ოლქის სასამართლოში იყო, როგორც დამთავრებული. ამის მიხედვით მე არც მქონდა იურიდიული საფუძველი ბ. გივის და სხვების სიტყვიერი განცხადებით მე ბრალდებულნი დამეტუსაღებინა და პაერში გამოკიდებული სიტყვებით დადგენილება დამეწერა, მე—შევასრულე, ის რასაც კანონი მოითხოვდა. როგორც მილიციამ მაცნობა მათი გამოცხადება, იმავე დღეს ოლქის სასამართლოს ბრალმდებელისგან მოვითხოვე საქმე მშვიდობაძის მკვლელობის, სიტყვიერადაც ვსთხოვე ბრალმდებელს და მის ამხანაგს საქმე მალე გამოეგზავნათ.

საქმე მივიღე 11 ნოემბერს, ადგილობრივ ფოსტაში 10 საათზე სახელმწიფო ამანათით, სადაც ჩემი პირადი ხელის მოწერაც სჩანს.

იმავე დღეს, ე. ი. 11 ნოემბერს თარიღით № 719 ვაცნობე მილიციის უფროს სიმნაიშვილის და წილოსანის დაპატიმრების და ჩემთან წარმოდგენის შესახებ. ბრალდებულებმა განცხადება შემოიტანეს ჩემთან მოწმეების ,,ალიბი'' დაკითხვის შესახებ. ეს იმათი უფლება იყო და ჩემი მოვალეობაც თანახმად ძირითადი კანონმდებლობის პრინციპისა. წინასწარ გამოძიების დამთავრების შემდეგ ისინი გადაგზავნილი იქმნენ ჩემს მიერ ოზურგეთის მაზრ. საპატიმროში თანახმად ჩემი დადგენილებისა 26 ნოემბერსა.

რომ ბ. გივმა არ იფიქროს და მკითხველიც შეცთომაში არ შეიყვანოს, რომ მე ვითომც მისი წერილის შემდეგ დავაკავე იგინი ,,პოსტ ფაკტუმ'' და არა ადრე—ამას ადასტურებს ერთი ჩემი მიწერილობა მილიციისადმი 11 ნოემბერს № 719, მეორეთ გიმნაზიის მასწავლებელი კ. წილოსანი, პროვიზორი გრ. ხუნდაძე, ჟ. ზენაიშვილი, რომლებსაც, კიდევ 8 ნოემბერს, სანამ საქმეს მივიღებდი ვაცნობე, რომ როგორც საქმე მოვა, ბრალდებულნი იქნებიან გაგზავნილი საპატიმროში, მანამ მე ბრალდებულებს ვერ შევეხებოდი, თან გადავეცი—რომ მილიციას შეუძლია ადმინისტრატიული წესით დააკავოს იგი ნითქო.

ბ. გივი მარჯვენა ხელით იფხანს მარცხენა ყურს, თუ ბრალდებულები თვალში ეჩხირებოდენ, უნდა მიემართა მილიციისთვის და მათი საშუალებით დაეკავებია—და არა სამინისტროსთვის.

რაიცა შეეხება მესამე ბრალდებულს კერესელიძეს, რომ ბ. გივმა საზოგადოება შეცთომაში არ შეიყვანოს, მე იმის შესახებ წინასწარ გამოძიება არ მომიხდენია და ვერც დავაკავებ, რადგან ძველი საქმით, რომელიც მე მივიღე იგი უკვე სრულიათ განთავისუფლებულია ბრალმდებელის დადგენილებით, და არა დროებით თავდებ ქვეშ გაშვებული.

გამომძიებელი აბესაძე.

## შეუსაბამო პოლიტიკა.

მართველი პარტიის პოლიტიკას ყვალომით საქართველო უსაქმურობის ქვეყნად შექმნა.

მაშინ, როდესაც ევროპის სახელმწიფოები შრომის გახანგრძლივების და მოჭიმულობის მხრით ერთმანეთს ეცილებიან და ქარხნები თითქმის დღელამ შეუწყვეტელად მუშაობენ, ჩვენს სახელოსნო ქარხნებსა და მადაროებში მუშაობა შვიდი საათის განმავლობაშიაც არ წარმოებს და ისიც გულაცრუებით.

და შეუძლებელია თქმა, ვითომ ამის მიზეზი თვით მუშა იყოს.

ქართველი მუშა, როგორც მშრომელი, არცერთი ქვეყნის მუშას არ ჩამოუვარდება. განა მან არ დაამზადა შავი ქვის აურებელი საგზალი, რომელმაც დაიხსნა საქართველო უეჭველი კატასტროფისაგან?! განა ქართველი მუშის ხელით არ არის აგებული ფოთის ნავსადგური, რკინის გზები და სხ.?

მეორე მხრით, დღევანდელი უსაქმურობა—მმართველი პარტიის მიერ წარმოებულის ეკონომიური პოლიტიკის შედეგია.

ქარხანაში მუშაობის შეცვლა აკრძალულია. დაჰკრავენ თუ არა ზარს, მუშები იძულებული არიან მუშაობა შეაჩერონ,

ნარდად მუშაობა აღკრძალულია, უვარგისი მუშის დათხოვნა—შეუძლებელია და სხ.

და სახელოსნო—ქარხნებსა და მადა- [illegible] არაფერი კეთდება რა და, [illegible]

[illegible] და ფულის კურ- [illegible] მიზეზი.

[illegible] უდგია წინ [illegible] ომიურ პოლი- [illegible] სოცია- [illegible] მეში 16

ხშირათ მიწის მუშის მარჯვენა ასაზრდოებს დღეს საქართველოს.

და, ცხადია, ეკონომიურ პოლიტიკას მიზნად უმთავრესად მიწის მოქმედების წარმატება უნდა დაესახა.

ეს არც ძნელი იყო. ხომ აურებელი ფული დაიხარჯა განუხორციელებელ სახელმწიფოებრივ საადებ მეცემო და სამეურნეო საქმეებზე! რამდენი თანხა ჩაჰყლაპა თუთუნის, მატყლის, აბრეშუმის, საბირხავი მანქანების და სხ. რეკვიზიციამ!

და რამდენად მეტს მოიგებდა ქვეყანა, სახელმწიფო რომ მისთვის ამ არა ჩვეულ სარისკო საქმეებს არ გამოდგომოდა და მაგიერად სარწყავი არხები გაეთხარა, მდინარეების ნაპირები გაემაგრებინა და ჭაობები დაეშრო?!

მაშინ საქართველო პურისა და სიმინდის მხრით სრულიად უზრუნველყოფილი იქნებოდა და უცხოეთიდან პურის შემოტანა აღარ დასჭირდებოდა.

მაგრამ, ვინაიდან მთავრობამ ხელი აიღო სახელოსნო სამრეწველო წარმოებაზე, სოფელმა მიჰყო ხელი შინაურ სახელსაქმარო წარმოებას.

მთელი საქართველო ჩართულია ამ მოძრაობაში და ყოველ სოფელში გაიმართა შინაური წესით რთვა-ქსოვა, ფეხსაცმლის კერვა და სხ.

მილიონი ხელი ამუშავდა!

და, უეჭველია, ეს ეკონომიური მოძრაობა მალე დაფარავდა ქალაქთა უსაქმურობის მიერ გამოწვეულ ნაკლს.

აურებელი ძაფი დაირთვებოდა, აურებელი შალი, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილი მოიქსოვებოდა და ტანსაცმელი გაიაფდებოდა!

ტანსაცმლის გაიაფება კი თავისი მხრით გამოიწვევდა პურისა და სიმინდის გაიაფებას.

მაგრამ შინაური ხელსაქმრის წაქეზების ნაცვლად მთავრობამ მატყლზე და აბრეშუმზე მონოპოლია გამოაცხადა და ეს სართავ-საქსოვი მასალა ბაზარზე აღარ გამოუშვა.

ცხადია, ეს—დამღუპველი პოლიტიკაა.

ჯერ ერთი, ჩვენებური მატყლი ვერ შეეცილება ავსტრალიისას.

მეორე, ევროპაში გაყიდული მატყლი, საქარხნო შალისა თუ მაუდის სახით უკან დაბრუნებული, ერთი ასად დაგვიჯდება.

რა პოლიტიკაა, ჩვენი მოხელსაქმარე უსაქმოდ დავაგდოთ ჩვენი ნედლი მასალის საშუალებით, ევროპას შრომის სარბიელი გავუდიდოთ და სხვისი შრომის ნაყოფი მამასისხლად ვიყიდოთ!

ის არა სჯობს, ჩვენი საქონელი ჩვენსავე ხელით დავამუშავოთ, ჩვენს მუშას ჩვენსავე მასალის საშუალებით სამუშაო აღმოვუჩინოთ?!

და მატყლი, ჩემი ფიქრით, საზღვარგარეთ სულაც არ უნდა გავიდეს, ვინაიდან საქართველოს ყველაზე უფრო დღეს ტანსაცმელი აკლია.

დიაღ, მთელი ჩვენი მატყლი აქვე უნდა ირთებოდეს და იქსოვებოდეს. მხოლოდ ამ საშუალებით შეიმოსება გატიტვლებული ქვეყანა.

თითქმის იგივე შეგვიძლია ვთქვათ აბრეშუმის შესახებ. აბრეშუმი—ჩვენი საზაფხულო ტანსაცმელია. მაშასადამე, ის გვირჩევნია, აბრეშუმი შინ ირთებოდეს და შინვე იქსოვებოდეს, ვიდრე პარკის გაყიდვით აღებული ფული შემოგვდიოდეს, შეიძლება ვინმემ იფიქროს: აბრეშუმი ძვირად ფასობს, მაშასადამე, გვირჩევნია პარკი გავყიდოთ და მაგიერად იაფფასიანი ტანსაცმელი ან სხვა საქონელი ვიყიდოთო.

მაგრამ ეს მხოლოდ ნორმალურ პირობებში იქნებოდა სასარგებლო.

დღეს კი მსოფლიოში ტრანსპორტისა და შრომის კრიზისია და ისე ძვირად ჯდება საქონლის გატანა და შემოტანა რომ გვირჩევნია, თუ კი რამე ნედლი მასალა მოგვეპოვება, შინვე დავამუშავოთ.

ყოველ შემთხვევაში აბრეშუმის მონოპოლიას იძულებითი ხასიათი არ უნდა ჰქონებოდა.

საუკეთესო წესი ის იქნებოდა, თუ კი მეაბრეშუმების საზოგადოებას ექნებოდა პარკის გაყიდვის მონოპოლია, თვითეულ მწარმოებელს კი ნება ექნებოდა, თუ უნდოდა, ამ საზოგადოებისთვის გადაეცა გასაყიდად თავისი პარკი, თუ არა,—შინაურ ბაზარზე გამოეტანა.

ცხადია, რომ საზოგადოება წმინდა მოგების ერთს ნაწილს ხაზინას გადასცემდა.

მაშინ, უეჭველია, ჯერ შინაური ბაზრის მოთხოვნილება დაკმაყოფილდებოდა და მხოლოდ ნამეტნავი გაიგზავნებოდა საზღვარ-გარეთ.

გვეტყვიან: ხომ ბევრი რამე უნდა შემოვიტანოთ საზღვარ გარეთიდან, მაგალითად, მანქანები, ქიმიური ფაბრიკატები და სხ.? რით-ღა ვიყიდოთ ყველაფერი ეს, თუ სამაგიერო არა გავყიდეთ-რა საზღვარ-გარეთ?

— ამისათვის ჩვენ ბევრი ისეთი ნედლი მასალა გვაქვს, რომელიც ევროპისთვის აუცილებელია, ჩვენ კი ჯერ ან სულ არ შეგვიძლია მოვიხმაროთ ან უხვად მოგვეპოვება,—მაგალითად, შავი ქვა, ქვანახშირი, თუთუნი, ტყის მასალა, ღვინო, ხილი.

აი რა უნდა შეგვქონდეს საზღვარ-გარეთ გასაყიდავ საგნად.

მხოლოდ ასეთ პირობებში დამყარდება სავაჭრო ბალანსის წონსწორობა.

ე. ი. გაუთანასწორდება საზღვარ გარედ გატანილი საქონლის ღირებულება შემოტანილი საქონლის ღირებულებას.

მაშასადამე, მხოლოდ მაშინ ავწევთ ქართული ფულის კურსი ნორმალურ სიმაღლემდე, გაიაფდება ცხოვრება და ავიცილებთ თავიდან კატასტროფას.

ვასილ წერეთელი.

---

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია


დოქტორი

### გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების აპერაცია—პოევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე და საღ. 6—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 3314

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი

### ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეხაპუნებით. ქიით ცვრის სასულე—მილას ავათმყოფობას ვექიმობ ,,ნეიმანის და ვესსელის'' მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას ,,ზოოტეხნიაზე'' (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2 თვ.

ექიმი

### ა. ს. ჯავრიშვილი

სიფილისი (606—914 შეხაპუნება), კანისა, ვენერიული და საშარდო ორგანოს სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს 8—9 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. ოლღას ქუჩა, № 3, მელიქ-აზარიანცის სახლი. 3305 თვ.

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფების მიღება,

ექიმი

### მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვების ავადმყ. ელექტრონით წამლობა. ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტასიას ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31. № 3207.

### თვალების ავადმყოფობის

ექიმი

### მ. გოლშტეინი

სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე. ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი

### რეზო მაჩაბელი

კანისა და ვენერიულ სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი [illegible]) სიფილისი (606—914 შეხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საათ. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4. ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 3268

ქუთაისი

ექიმი

ისაკ იაკობის-ძე

### მინოვიჩი

ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.

ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ. 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჭოლოშვილის. № 3208.

ექიმი

### დ. ი. ჯაფარიძე

შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.

ავადმყოფების მიღება დილის 12—1 ნახ. საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.

ტელეფ. 16—65; 1. 7—49

ექიმი

### ე. ი. კალანდაძე.

ღებულობს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დღის 8—12 ს. ვენერიული სიფილისი (შეხაპუნება 606 და 914) და საშ. რდე ორგანოთა საღ. 5—7 ს. გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ. კუთხე ზემმელის აფთიაქთან.

ტელეფ. 18—95. 3228

### სამკურნალო

ელექტრონის რენტგენის და სინათლის

### მიხეილ ვედ[illegible]შვილის

დღისით 12—2 საათ. საღ 6—8 საათ არის საწოლები. ყოროღანოვის ქ., 20 ვერაზე. ტელ. 9—71. 3102. თ


### მატარებელთა მიმოსვლა.

ფოსტის მატარებელი № 3.

თბილისიდან ბათომში—დილის 10 ს. 53. წ.

მატარებ. № 3. № 7.

თბილისიდან ფოთში საღამ. 7 ს. 14 წ.

მატარებ. № 21.

თბილისიდან ბათომში, საღ. გად. 10 37

მატარებ. № 19.

თბილისიდან ხაშურში დილის 3 ს. 20 წ.

მატარებ. № 140.

თბილისიდან სალოღში დილის 9

მატარებ. № 390.

თბილისიდან სანაინში დილის 7 45 წ.

მატარ. № 4.

თბილისიდან კახეთში დილის 8 30 წ.

### თბილისში მოდის.

მატარებ. № 4.

ბათომიდან თბილისისკენ გამოდის საღ. 10 ს. 27

თბილისში მოდის საღ. 6 ს. 46

მატარებელი № 7.

ფოთიდან თბილისისკენ გამოდის მის 12 ს. 2

თბილისში მოდის დღის 2 ს. 13

მატარებელი № 22.

ბათომიდან თბილისისკენ გადის მის 12 ს. 58

მატარებელი № 19.

ხაშურიდან თბილისისკენ მოდის მის 2 ს. 16

თბილისში მოდის დილის 8 ს. 2

მატარებ. № 141.

სალოღლიდან თბილისისკენ გადის დილის 9 ს 10

თბილისში მოდის საღამ. 5 ს. 3

მატარებ. № 416.

სანაინიდან თბილისისკენ გადის დილის 8

თბილისში მოდის დღის 4 ს. 52

მატარებ. № 3.

კახეთიდან თბილისში გადის ს. 20


## მაღაზიაში

ამხ. ე. ცინდელი

სოლოლაკი

დანიშნულია

## იაფი საშობაო ვაჭრობა

გაიყიდება შემდეგი ქსოვილები: შევიოტი, გაბარდინი, დი, ტრიკო, დრაფი, შერსტინკი, სათეთრეული ქსოვილი, ფლანელი, სატინა და აბრეშუმეულობა, შიფონი, მ[illegible] ტაფტა, ბენგალინი, შავი აბრეშუმი, შავი მაუდი, [illegible] და ქალის სათბობი.

ნაჭრები თავისივე ფასებში.